ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N25

21.07.2023 წელი
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 21 ივლისს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, ამავე სამსახურის უფროსის **მოადგილე ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი 12-032320110-03, 20.07.2023წ.),*
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცვლილებით გვაქვს ზრდა 20 552,2 ათასი ლარი და შეადგენს 1 823 624,5 ათას ლარი, რაც მიღებულია საურავებისა და ჯარიმებისგან, რომელიც მოხმარდება პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის ჯამში კულტურას, სპორტს და ახალგაზრდობას ემატება 5 780,0 ათასი ლარი. ასევე თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების მოთხოვნების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 100,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 200,0 ათასი ლარით და კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 300,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 450,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 400,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 700,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 100,0 ათასი ლარით და მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 200,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 400,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 400,0 ათასი ლარით და ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 300,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 300,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 402,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 131,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 349,6 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 450,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლებისა და 2 დასაქმებისა ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) ქვეპროგრამის ასიგნებები - 300,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, **სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 700,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 1 500,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 500,0 ათასი ლარით,** კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) - 30,0 ათასი ლარით, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) - 1 000,0 ათასი ლარით , რაც იყო წლების განმავლობაში მიმდინარე დავა, სადაც სასამართლომ დაგვაკისრა გადასახდელად აღნიშნული თანხა, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 64.8 ათასი ლარით.

მცირდება კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 64.8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 150,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 124,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) - 7,5 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) - 30,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - **სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 500,0 ათასი ლარით.**

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ჯამში 3 700,0 ათასი ლარითაა მატება, აქედან სპორტულ ღონისძიებებზე გამოყოფილია 1 700,0 ათასი ლარი, რაც მოხმარდება თემატური ღონისძიებების ხელშეწყობას, პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა იზრდება და 1 500,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება გლდანის აუზის რეაბილიტაციას, ხოლო ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა იზრდება 500,0 ათასი ლარით და მოხმარდება ახალგაზრდული ღონისძიებების და პროექტების დაფინანსებას.

ირაკლი გვილავა - მოგეხსენებათ, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გლდანის აუზი დიდი ხანია საჭიროებს რეაბილიტაციას, რადგან მძიმე მდგომარეობაშია, იზრდება პროფესიული სწავლების დაფინანსების პროგრამა, ასევე ზაფხული-შემოდგომის პერიოდში ჩასატარებელი ღონისძიებების მიმართულებით გვაქვს მატება. შემოდგომაზე კიდევ დაგვჭირდება ფინანსური მხარდაჭერა და იმედი გვაქვს გამოიძებნება შესაბამისი სახსრები, კერძოდ სპორტის ნაწილში არის სპორტსმენთა დაჯილდოების ღონისძიებები, რომელსაც ესაჭიროება შევსება, როგორც საგანმანათლებლო მიმართულებით სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამას.

გივი ჩხარტიშვილი - იქიდან გამომდინარე, რა მდგომარეობაშიცაა გლდანის საცურაო აუზი, მხოლოდ მივესალმები თანხების გამოყოფას რეაბილიტაციისთვის, სერიოზული სამუშაოები იქნება შესასრულებელი აღნიშნული მიმართულებით.

ნინო კვიტაიშვილი - დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის გახსნა როდის იგეგმება? იქნება, თუ არა შესაძლებელი წყლის იოდიზირება, დაქლორვის ნაცვლად.

ირაკლი გვილავა - ამ დროისთვის საბურთალოს გამგეობა მუშაობს დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის გარშემო გზის დაგებაზე და მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე. გრძელდება შიდა სამუშაოები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული პირველად პროექტში და მოგვიანებით ჩვენს მიერ იქნა დამატებული. სამ ეტაპად გამოცხადდა ცენტის შიდა აღჭურვის ტენდერი, აქედან ტრენაჟორების ნაწილში გვყავს გამარჯვებული, იყო სირთულეები 4-ჯერ ჩაიშალა შიდა მოწყობის ტენდერი, რადგან კომპანიებს შორის იყო სასამართლო დავა. შენობის გახსნა და მისი ფუნქციონირება მოხდება ეტაპობრივად, შემოდგომის ბოლოს ვფიქრობთ პირველი სართულის გახსნას, რომელიც მოიცავს ფიტნეს დარბაზს, აუზს და მედიათეკას, შემდგომ მეორე და მესამე სართულებს, როგორც შიდა ინვენტარის და სხვა მიმართულებების ტენდერებში გამარჯვებულები გამოვლინდება, ვფიქრობთ 2023 წლის ბოლოსთვის სრულად გაიხსნება. ამ დროისთვის დატესტილია საცურაო აუზი, მისი ფილტრაცია, ტემპერატურა და სხვა კრიტერიუმები. იოდინიზირება ვერ მოხდება, რადგან ჯერ ჩვენი ქვეყნის ბაზრისთვის ახალი და ძვირადღირებული ტექნოლოგიაა.

ავთანდილ ცინცაძე - არ იქნება მარტივი, წლის ბოლოსთვის სრულად გაიხსნას დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრი.

გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით ვტოვებ სპორტის კომისიის შემადგენლობას და გადავდივარ ქონების მართვის კომისიაში, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებს და აპარატის თანამშრომლებს გულთბილი თანამშრომლობისთვის, რომელიც წლები გვაკავშირებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე- (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე